საქანელას ქ. №2 (ნაკვეთი 3/14)

(წინასაპროექტო ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა)

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს თბილისის ისტორიულ ნაწილ ვერეს უბანში, მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩასა და მტკვრის მარჯვენა სანაპიროს შორის - საქანელას ქუჩაზე, რომლის განაშენიანება ამჟამად თითქმის მთლიანად განადგურებულია. საპროექტო წინადადებით გათვალისწინებულია საქანელას ქ. №2-ში მდებარე 300კვ/მ. ფართობის მიწის ნაკვეთზე ახალი შენობის აგება.



ხედი საქანელას ქუჩზე – 2007 წლის ფოტო.

თავისუფლად დაგეგმარებული განაშენიანება ორგანულად ეწერებოდა მარჯვენა სანაპიროს ურბანულ გარემოში – სხვადასხვა სტილისა და მასშტაბის შენობები, თავისი შიდა ეზოებით, გამწვანებული „მიკროსივრცეებით“ და ვიწრო ქუჩების ხლართით, ლანდშაფტისა და არქიტექტურის თანაარსებობის, ჩვენ დრომდე შემორჩენილი, ერთ-ერთი კარგი მაგალითი იყო თბილისის ცენტრში.

ვერეს უბნის და საქანელას ქუჩის ისტორიულ-არქიტექტურული განვითარება

ისტორიულად საპროექტო ტერიტორია გარეთუბნის – ვერეს ნაწილია. ის XIX საუკუნემდე დაუსახლებელი იყო. მას შემდეგ, რაც ქალაქის საზღვარმა 1850-იანი წლების ბოლოსთვის მოსკოვის ქუჩას – დღევანდელ რუსთაველის მოედნის მიდამოებს მიაღწია, იმის იქით მდებარე სოფლები ვარდისუბანი და ვერე ქალაქის გარეუბნად იქცნენ. 1867 წლის გეგმაზე ჩვენთვის საინტერესო ტერიტორია ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია – აქ არაფერი დგას, გარდა უსისტემოდ მიმოფანტული რამდენიმე პატარა ქოხისა. ქუჩები ჩამოყალიბებული არ არის, თვით მომავალი ვერის დაღმართის ადგილზეც ჯერ ხრამია, რომელიც რუსთაველის მოედნისა და ვერის დაღმართის გადაკვეთასთან იწყებოდა და მტკვრის მარჯვენა ნაპირს აღწევდა, სადაც არტილერიის "სლობოდა" იყო – დაახლოებით, კვალის ქუჩის მიმდებარე ფერდთან.



თბილისის 1867 წლის გეგმა.

განაშენიანება განვითარებულია ზედა ტერასაზე, სადაც ჯერ კიდევ 1930-იან წლებში მიწისმზომელმა ტოვარნიცკიმ დააპროექტა არტილერიის და სალდათის ქუჩები. აქ იყო გარნიზონის არტილერიის ყაზარმა. 1867 წლის გეგმაზე არტილერიის ქუჩა სალდათის ქუჩის სახელით არის აღნიშნული. არტილერიის ქუჩის სახელი შერჩა იქვე მდებარე, შემდგომდროინდელ, კვალის ქუჩას. აქვე საქანელას დაღმართსა და სასტუმრო "ივერიას" შორის მდებარეობდა მაშხალის ქუჩა. რომელიც XIX საუკუნეში წარმოიქმნა.



თბილისის 1903 წლის გეგმა.

1903 წლის რუკაზე აღნიშნულია, როგორც მაშხალის შესახვევი. ამავე სახელით არის დატანილი 1934 წლის გეგმაზე. რევოლუციამდე ამ ქუჩის მიდამოებში იდგა სამხედრო-საინჟინრო და საარტელერიო უწყებები, როგორც ჩანს აქ ამზადებდნენ და აქედან ისროდნენ შუშხუნებს (მაშხალებს), რის გამოც ქუჩას ეს სახელი დაერქვა.

ქალაქის ზრდას გარეთუბნის მიმართულებით გარკვეული სირთულეების ახლდა – მთაწმინდიდან ჩამომავალი ხევები ბევრ ადგილას კვეთდა მზარდ ქალაქს. ქალაქის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ხდებოდა კოლექტორების მოწყობა

და ხევების ამოვსება. ასე შეიქნმა მტკვრისკენ ჩამავალი ბევრი ქუჩა – მათ შორის ვერის დაღმართი.




ვერეს დაღმართი და ხიდი – XIX საუკუნის ბოლო.

მტკვრის ორივე სანაპიროზე ქალაქის ტერიტორიის ზრდასთან ერთად, ქალაქის ახალი უბნები თანდათან შორდებოდა იმ ხიდს, რომელიც ძველი დროიდან იყო გადებული მეტეხის ტაძართან, რამაც ახალი ხიდების მშენებლობის აუცილებლობაც წარმოშვა. თბილისელი შეძლებული მოქალაქეების გენერალი ყორღანოვის და ვაჭარი როტინოვის მცდელობით უპირატესობა მიენიჭა სწორედ ვერის ახალი ხიდის აგებას, რადგან ისინი ფლობდნენ მომავალი ვერის ხიდის მიმდებარე მიწის ნაკვეთებს მტკვრის ორივე ნაპირზე, ხოლო ხიდის მშენებლობა, ცხადია, ამ მიწების ფასს მკვეთრად გაზრდიდა. მშენებლობას ხელს უშლიდა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე არსებული მაღალი ფერდი და ღრმა ხევი. ამ ადგილზე მისასვლელი გზის გაჭრა სიძნელეს წარმოადგენდა, ამიტომაც შემუშავდა ვერის ხიდის გზის გაჭრის პროექტი – არა არსებული დაღმართის მიმართულებით, არამედ მტკვრის გასწვრივ – ახლანდელი "გმირთა მოედნის" ფარგლებში, საქართველოს სამხედრო გზასთან შესაერთებლად.

1885 წელს გაიხსნა ვერის ახალი ხიდი (დღევანდელი გალაკტიონის ხიდის ადგილას) - ქვის ბურჯებზე დაფუძნებულ ლითონის ფერმებზე და კონსოლებზე ფიცარნაგი და ტროტუარები იყო დაგებული. იგი დააპროექტა ქალაქის არქიტექტორმა, ინჟინერმა უმანსკიმ. 1951-52 წლებში აიგო ელბაქიძის ახალი სამმალიანი ხიდი (ინჟინერი გ. ჩომახიძე, არქიტექტორი მ. მელია).

ყორღანოვის გავლენით მარჯვენა ნაპირზე გაიჭრა ხიდთან მისასვლელი გზაც – ვერის დაღმართის მიმართულებით. მისი მოწყობა განხორციელდა რუსეთიდან მოწვეული ინჟინერ ზამიატინის მეთვალყურეობით, რომელიც ხიდის მშენებლობასაც ხელმძღვანელობდა. ვერის დაღმართის გაჭრის შემდეგ

განსაკუთრებით გაიზარდა ვერის ხიდის მნიშვნელობა – ამით უახლოესი კავშირი დამყარდა გოლოვინის პროსპექტს, ვერის უბანსა და მარჯვენა ნაპირის უბნებს შორის მარცხენა ნაპირთან და რკინიგზის სადგურთან.



ვერეს დაღმართი – 1930-იანი წლები.

მალევე მოხდა ვერის დაღმართის - დღევანდელი მ. ჯავახიშვილის ქუჩის განაშენიანება და მისი მიმდებარე საქანელას ქუჩა და დაღმართიც მალევე გაიკვალა ქვედა – მტკვრის ნაპირის მიმდებარე ტერასებზე. 1902 წლის რუკაზე ვხედავთ, რომ ყველა ეს ქუჩა უკვე ჩასახულია. აქ საქანელას დაღმართი დატანილია, როგორც კარუსელის დაღმართი. აღდგომის დღეებში აქ ეწყობოდა კარუსელი და სახელიც ამის გამო შეერქვა. 1934 წლის გეგმაზე ანდეზიტის დაღმართი ქვია. 1960-იანი წლებიდან დაერქვა საქანელას დაღმართი.

საქანელას ქუჩაც დღევანდელი მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩიდან მტკვრის მარჯვენა სანაპირომდე XIX საუკუნის ბოლოს წარმოიქმნა. თავიდან მასაც კარუსელის დაღმართი ერქვა. 1920-იანი წლებიდან ეწოდა კარუსელის ქუჩა. 1934 წლის გეგმაზე ანდეზიტის ქუჩაა. 1960-იანი წლებიდან კი საქანელას ქუჩა ჰქვია. უბანი საპროექტო ტერიტორიის ირგვლივ დაუსახლებელი იყო XIX საუკუნის ბოლომდე. მტკვრისპირა ფერდობზე იყო ბაღი „ბელ-ვიუ“. ვერის დაღმართის დასაწყისში, დაახლოებით დღევანდელი „სამაიას“ ბაღის მიდამოებში იყო ველოტრეკი. ღვინის ქარხნის ადგილას კი ცირკი. დღეს შემორჩენილია მხოლოდ ბაღის ნაწილი, სადაც მოწყობილია სკვერი. XX საუკუნის დასაწყისში ვერის

დაღმართის პერიმეტრს უკვე მიუყვებოდა საცხოვრებელი სახლების, საკმაოდ კარგი ხარისხის ერთ-ორსართულიანი განაშენიანება.

საარქივო ფოტოებზე და რუკებზე კარგად არის ასახული ჩვენთვის საინტერესო მიკრო უბნის განვითარების ისტორია. მ. ჯავახიშვილის ქუჩის განაშენიანების რიგი ზურგით საქანელას ქუჩისკენ იყო მიმართული.

ყველაზე სრულად ეს მიკროუბანი აღიქმება სწორედ მტკვრის სანაპიროებიდან. ჩანს ჯავახიშვილის ქ. №21 სახლის თავდაპირველი სახე, რომელიც ვერის დაღმართის მხარეს სამი სართულით, ხოლო საქანელას ქუჩისკენ ხუთით გამოდის – ეს ერთად-ერთი შენობაა, რომელიც ამ განაშენიანებიდან გადარჩა.



ვერეს ხიდი და საქანელას ქუჩის განაშენიანება. XX საუკუნის დასაწყისი.

შენობა წარმოადგენს XX საუკუნის დასაწყისის თბილისური ეკლექტიკის ნიმუშს ფსევდოკლასიცისტური და ბაროკოს ელემენტებით, რომელიც ადგილობრივ ტრადიციასთან არის შეზავებული – ზურგისკენ გახსნილი ღია აივნებით. ეს ნაგებობა არქიტექტურული და მემორიალური ძეგლია, რომელშიც 1913-1937 წლებში ცვოვრობდა მიხეილ კავახიშვილი. მისი შენარჩუნება აუცილებელია.

საქანელას ქუჩა ვერის დაღმართის განაშენიანების და ხიდიდან გახსნილი ხედის სივრცით-გეგმარებითი ნაწილიც იყო, რომელიც საერთო სილუეტში იყო ჩართული. უბნის ხასიათის ჩამოყალიბებაზე განსაკუთრებული გავლენა რელიეფს ჰქონდა, რომელიც განსაზღვრავდა საქანელას ფერდის სივრცითი ორგანიზაციის სპეციფიკას. არქიტექტურა მორგებული იყო ბუნებრივ ლანდშაფტზე. მწვანე ლანდშაფტიც ურბანული ქსოვილის განუყოფელი ნაწილი იყო. მტკვრის ნაპირსა და ხრამს შორის ჩასახული განაშენიანება ერთიან, ირეგულარულ, ქაოტურად დაგეგმარებულ „სისტემას" ქმნიდა.



საქანელას ქუჩა და დაღმართი – 2007 წლის ფოტოსურათები.



რთული ბუნებრივი რელიეფის მხატვრულად გამოყენებამ არქიტექტურული ანსამბლის სახე მისცა ამ მიკროუბანს, რაც კარგად გააზრებას და სწორ დაგეგმარებას, მისი ქალაქმშენებლობითი პოტენციალის სწორ განვითარებას საჭიროებდა – ამის ნაცვლად კი, 2009-2010 წლებში, ჩვენ თვალწინ, მთლიანად დაანგრიეს მთელი კვარტალი. ბოლო წლების არქიტექტურულ-სამშენებლო პრაქტიკას ზოგადად ახასიათებს სრულიად არაშემოქმედებითი, მხოლოდ

მყისიერ კომერციულ მოგებაზე გათვლილი მოქმედება, რის შედეგადაც ურბანულად ძალიან საინტერესო არაერთი შენობა და მიკროუბანი ერთი ხელის მოსმით განადგურდა.



საქანელას ქუჩის განაშენიანება – 2007 წლის ფოტო.

2007 წლის ფოტოებზე ჩანს, რომ უბნის განაშენიანება საკმაოდ მჭიდროა – ამ მცირე სივრცეში შენობები თითქოს ჩაჭედილია ქუჩებს შორის. საარქივო ფოტოზე ასახულ განაშენიანებასთან შედარებით ინტენსივობაც გაზრდილია და სართულიანობაც მომატებული. ზედა – ვერის დაღმართის ტერასაზე მდებარე შენობები სანაპიროს მხარეს ოთხ და ხუთ სართულიანია, რომლებიც ვერის დარღმართსა და სანაპიროს მიმდებარე ზოლს შორის ნიშნულების მკვეთრი სხვაობის გამო ზედა ნიშნულზე ორი-სამი სართულით გამოდიოდა. ქვემოთ – სანაპიროს გასწვრივ, კი განაშენიანება ორი-სამი სართულით შემოიფარგლებოდა, ზოგიერთ მათგანს მოგვიანებით სართული აქვს დაშენებული. ნიშნულების ძლიერი სხვაობის გამო მიკრო-უბნის სტრუქტურის ნაწილი იყო ქუჩა-კიბეც. უბნისთვის დამახასიათებელი იყო შიდა ეზოების სისტემა.



საქანელას ქუჩის განაშენიანება – 1900-იანი და 1960-იანი წლების ფოტო.



საპროექტო ტერიტორიის საერთო სახეს, ამჟამად, გაუნაშენებელი ტერიტორია, რამდენიმე ერთ-ორ სართულიანი ძველი შენობა, ჯავახიშვილის ქუჩის ერთად-ერთი ფერდისკენ ხუთი სართულით გადმოკიდული სახლი და სასტუმროების ვერტიკალები ქმნის. საპროექტო ნაკვეთზე და მის ახლოს სანაპირო ხაზის პირას სასაუზმის, ამჟამად უფუნქციო ნაგებობა დგას, ტერიტორიის სიღრმეში კი

რამდენიმე ტექნიკრი შენობა. სანაპიროს წინა ზოლის განაშენიანება ქაოტურია და მოკლებულია არქიტექტურულ-გეგმარებით სისტემურობას. დარღვეულია სივრცითი ორგანიზებულობა.



საქანელას ქუჩა – საპროექტო ტერიტორია და მიმდებარე ნაგებობები.



საქანელას ქუჩის ფერდის შემკვრელ სივრცით-არქიტექტურულ აქცენტს წარმოადგენდა ჯავახიშვილის ქუჩის მოშენება, საიდანაც დღეს მხოლოდ ერთი - №21 სახლია შემორჩენილი.

აღარც საპროექტო ნაკვეთის ირგვლივ არსებულ ტერიტორიას გააჩნია ჩამოყალიბებული არქიტექტურული კონტექსტი - საპროექტო ტერიტორიაზე რამდენიმე წლის წინ არსებული შენობები დღეს დანგრეულია და მხოლოდ ფარდულის ტიპის ავტოსამრეცხაოსთვის განკუთვნილი ნაგებობები დგას. საპროექტო ტერიტორიისგან ოდნავ მოშორებით სანახევროდ დანგრეული სახით არის შემორჩენილი – ორსართულიანი სახლი – საქანელას ქ. №18.



საჭანელას ქუჩა – 2007 წლის ფოტო და დღევანდელი მდგომარეობა.



საპროექტო მიწის ნაკვეთზე და მის მიმდებარედ ავტო-პროფილაქტიკისთვის განკუთვნილი ფარდულის ტიპის შენობები დგას, რომელთაგან ზოგი არ ფუქციონირებს. მიმდებარე ტერიტორიის დიდი ნაწილი ნაგავსაყრელად არის ქცეული. საპროექტო მიწის ნაკვეთზე ხეები და მწვანე ნარგავები არ არის, თუმცა ხეები შენარჩუნებულია მის მიმდებარე ტერიტორიებზე. ბოლო წლების მანძილზე დანგრეული შენობების ადგილას გახშირდა ბუჩქნარი, ზოგან ხეებიც არის ამოსული.

დღეს ეს შენობები და ამგვარი გარემო სრულიად შეუსაბამოა დედაქალაქის ცენრტალური უბნისთვის, სადაც ხედი ორივე სანაპიროს ვრცელი მონაკვეთებიდან იშლება.

დასკვნა და რეკომენდაციები

საარქივო მასალებზე და ადგილზე ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ამ უბნის არქიტექტურულ მახასიათებლად უნდა ჩაითვალოს XIX-XX საუკუნეების მიჯნის თბილისისთვის დამახასიათებელი ფსევდოკლასიცისტური მოტივების და ადგილობრივი ტრადიციის სინთეზით შექმნილი არქიტექტურა.

ამჟამად ჯავახიშვილის ქუჩის (აღმართის) პერიმეტრის მოშენება და საქანელის ქუჩის სახლების უმეტესობა დანგრეულია.



საქანელას ქუჩა – საპროექტო ტერიტორია და მიმდებარე შენობები.



მას შემდეგ, რას ეს საკმაოდ მოზრდილი უბანი დაინგრა, გაჩნდა თვისობრივად ახალი განაშენიანების შექმნის რეალობა, როგორც მასშტაბის ისე არქიტექტურული გადაწყვეტის მხრივ, თუმცა სამომავლო პროექტირებისას გასათვალისწინებელია უბნის ძველი, ლანდშაფტთან შეფარდებული განაშენიანების „მეხსიერება“, სადაც საკმაოდ მჭიდროდ დაგეგმარებულ და მასშტაბითაც განსხვავებულ შენობებს შორის არსებობდა სივრცითი პაუზები, გარკვეული ირეგულარულობა, რომელსაც რესპუბლიკის მოედნის მსხვილგაბარიტიანი განაშენიანება გადმოჰყურებდა, რომლის მთავარ აქცენტს სასტუმრო „ივერიის“ შენობა წარმოადგენდა და რომლის მასშტაბი დღეს ერთი-ორად არის გაზრდილი.

საპროექტო ტერიტორიის ერთ-ერთი მახასიათებელი მისი სანაპირო მაგისტრალთან ახლოს მდებარეობაც არის. დღეს გალაკტიონის ხიდიდან ტერიტორიის სრულად აღქმას სანაპირო მაგისტრალზე 2010 წელს მოწყობილი მასიური პანდუსი უშლის.

საპროექტო წინადადებით გათვალისწინებულია საქანელას ქ. №2-ის ტერიტორიაზე, რომელიც 300კვ/მ. მიწის ნაკვეთს წარმოადგენს, არსებული ნაგებობების დემონტაჟი და ახალი, რამდენიმე სართულიანი შენობის აგება.

საუკეთესო გამოსავალია მიკროუბნის (ე.წ. საქანელას) განაშენიანების ერთიანი პროექტის დამუშავება, თუმცა, როგორც ირკვევა, რამდენიმე ნაკვეთს სხვადასხვა მფლობელი ყავს.

ცალკეული სეგმენტის პროექტირების შემთხვევაშიც, გასათვალისწინებელია მიკროუბნის მთავარი სპეციფიკა – მისი ბუნებრივ რელიეფთან კავშირი. მართალია, არქიტექტურული სტრუქტურა აქ თითქმის განადგურებულია, თუმცა შენარჩუნებულია ადგილის სივრცითი კონტექსტი და მიმდებარე ფერდების ბუნებრივი თავისებურებები.

საპროექტო ტერიტორია ესაზღვრება ქალაქის ყველაზე გამოკვეთილ ვერტიკალებს – სასტუმრო „რედისონის“ (ყოფილი ივერიის) და სასტუმრო „ბალტიმორის“ შენობებს. ორივე მათგანი საკვლევი ტერიტორიის ზედა ტერასაზე მდებარეობს და ძალიან აქტიურად იჭრებიან საქანელას ქუჩის ვიზუალურ არეალში. კომპოზიციის აგებისას სანაპიროს პერსპექტივში ეს ფაქტორიც გასათვალისწინებელია.



ხედი გალაკტიონის ხიდიდან საპროექტო ტერიტორიაზე.

ამ მძ[illegible] შორის ურბანული და მხატვრული კავშირი დარღვეულია. სანაპირო ზოლის გასწვრივ შესაძლებელია შეიქმნას გარდამავალი აქცენტები და აღსდგეს „სივრცითი კონტურის“ სტრუქტურა.

აქ მხოლოდ შენობის მოცულობას კი არ ექნება მნიშვნელობა, არამედ მის ერთიან მხატვრულ გადაწყვეტასაც. პროექტირებისას განსაკუთრებული

მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს შენობის არქიტექტურულ სახეს და ფასადების დანაწევრების ხასიათს – არ უნდა შეიქმნას უსახური მასა, რომელიც დისონანსს შეიტანს გარემოში. სასურველია შეიქმნას სივრცითად საინტერესო კონფიგურაცია და მოხერხდეს ლანდშაფტის და ზურგის (ჯავახიშვილის ქ. №21) შენობის რიტმის განვითარება.

დღეს არსებული გარემო იძლევა აქ რამდენიმე სართულიანი შენობის, მცირე ვერტიკალის გაჩენის შესაძლებლობას, თუმცა ამან უბნის სამომავლო განაშენიანების რესურსი არ უნდა შეამციროს.

მიუხედავად ნგრევით გამოწვეული დანაკარგებისა ტერიტორია დღესაც გამოირჩევა უხვი სიმწვანით, რაც შენობის სწორად შერჩეული მასშტაბის შემთხვევაში, კვლავაც აღქმადი იქნება ქალაქიდანაც.

შენობის მაქსიმალური სიმაღლე უნდა განისაზღვროს ჯავახიშვილის ქ. №21-ის მასშტაბის შესაბამისად, ისე, რომ სანაპიროს მხრიდან კვლავ ეს უკანასკნელი დარჩეს დომინანტად.

მისაღებია სადა არქიტექტურული ფორმების გამოყენება, რომელიც საერთო პანორამაში მშვიდად ჩაეწერება. შესაძლებელია მომგებიანი იყოს ხის ფაქტურის მქონე ელემენტების, სიბრტყეების გამოყენება, არასასურველია მინის დიდი სიბრტყეები და სხვა.

ისტორიულად მტკვრის სანაპიროებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქალაქის განვითარებაში. ქალაქის ურბენულ სტრუქტურაში სანაპირო ზოლის უგულვებელყოფა დღესაც დაუშვებელია. მიუხედავად დეგრადირებული გარემოსი, დღესაც აუცილებელია მტკვრის სანაპიროს მიმდებარე ბუნებრივი ლანდშაპტის, და არქიტექტურის, მათი ბუნებრივი განვითარების ლოგიკის ერთიანი გააზრება.

ზოგადად ძალიან მნიშვნელოვანია სანაპირო ზოლის მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგება და არსებული გამწვანების შენარჩუნება. გამწვანებული ტერიტორიებიც ამ უბნის სივრცითი სტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო, რომელიც გარკვეულწილად შენარჩუნებულია.

ხელოვნებათმცოდნე
მარინე ხატიაშვილი
20.08.2018